სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60149775815823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230816251

რეგისტრაციის თარიღი

21.06.2023 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ ივნისს, მე, დავით ყყროშიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ბატონმა **დათო ნიკოლეიშვილმა** (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 27.07.1979წ. პირადი #01007004277, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მერაბ კოსტავას ქ. N 68ბ ბ. 30), რომელმაც განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს „ნიკს დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405597288) (შემდგომ ტექსტში - „**მარწმუნებელი**" ან „**კომპანია**"), როგორც ამ კომპანიის დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან. **დათო ნიკოლეიშვილმა** განაცხადა, რომ სურს კომპანიის სახელით **მინდობილობის** შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე **მინდობილობის** შემდეგი ტექსტი:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ ივნისს, **შპს „ნიკს დეველოპმენტი"-მა** რეგისტრირებული: 08/02/2023წ, საიდენტიფიკაციო #405597288, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რ-ნი, მერაბ კოსტავას ქ. N68ბ ბ. 30 (შემდგომში - „**მარწმუნებელი**" ან "**კომპანია**"), წარმოდგენილი სს ზოგადოების დირექტორის **დათო ნიკოლეიშვილის** მიერ

ბ-ნ რევაზ ტყემალაძეს (საქართველოს მოქალაქე, პ.ნ. 01024004230) (შემდგომში - "რწმუნებული")

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი სსიპ „თბილისის არქიტექტურის ან/და სხვა სახელმწიფო/მუნიციპალური დაწესებულებების და ორგანიზაციების წინაშე და განახორციელოს ნებისმიერი ისეთი მოქმედება მარწმუნებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს 01.72.14.009.650 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ნებართვის მიღების მიზნისთვის. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოში, მათ შორის და არა მხოლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარადგინოს/შეიტანოს/მიიღოს თანხმობა/შეათანხმოს არქიტექტურული ესკიზი, განაშენიანების რეგულირების გეგმა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი (რაც მოიცავს: არქიტექტურულ პროექტს, სამშენებლო პროექტს და/ან ტექნოლოგიურ პროექტს), მონაწილეობა მიიღოს და წარმოადგინოს პოზიცია ნებისმიერ სხდომაზე ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, შესაბამის ორგანოებთან შეათანხმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეათანხმოს/გაზარდოს სამშენებლო კოეფიციენტი, მოითხოვოს და მიიღოს არქიტექტურული ინსტრუქციები და კონსულტაციები. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია ნებისმიერ ორგანოსთან წარადგინოს/ ხელი მოაწეროს/ მოითხოვოს/ მიიღოს/ მოიპოვოს ნებისმიერი განცხადება/ დოკუმენტი/ ხელშეკრულება/ შეთანხმება/ არქიტექტურული პროექტი /არქიტექტურული კონცეფცია და ნებისმიერი სხვა საბუთი, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ განსაზღვრული დავალებების განსახორციელებლად. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს სათანადო ორგანოებთან არქიტექტურული პროექტის თაობაზე თანხმობის მისაღებად და მარწმუნებლის

საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის.
რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს ზემოთ აღნიშნული დავალებების განსახორციელებლად.

2. მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) წლის ვადით.

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: 3 (სამი), რომელთაგან ორი გადაეცემა კომპანიის წარმომადგენელს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს დავით ოყროშიძის სანოტარო ბიუროს არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან კომპანიის შესახებ.


კომპანიის წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შეზუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: 30.00 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 5.40 ლ. თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 5.00 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მარწმუნებელის წარმომადგენელს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

შპს „ნიკს დეველოპმენტი“-ს სახელით

ნოტარიუსი




NOTARY DAVID OKRO
GEORGIA